ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №112
(კლასიფიკატორის კოდი: 90524000)

ქ. ბათუმი *29 ივნისი, 2022 წელი*

ჩვენ, ერთის მხრივ, ა(ა)იპ-„ბათუმის ბოტანიკური ბაღი“ (ს.კ.245615963) (შემდგომში–„შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი არჩაიას სახით, და მეორეს მხრივ, შპს „სანდასუფთავება“, წარმოდგენილი დირექტორის სულხან ევგენიძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მიერ დამკვეთის ტერიტორიიდან სარისკო სახიფათო ნარჩენების გატანა და შემდგომ თერმული დამუშავების საამქროში/ინსინერატორში/ უტილიზაცია – საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის №294, 2015 წლის 14 სექტემბრის №473 - დადგენილებისა და საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნათა, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შპს „სანდასუფთავება“-ზე 2021 წლის 23 მარტს გაცემული ბრძანება №2-321 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №13 2015 წლის 17 აგვისტოს გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის კანონის მე-3 მუხლის 1-პუნქტის ზ)-ქვეპუნქტის საფუძველზე, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

2. მხარეთა ვალდებულებანი

1. დამკვეთი ვალდებულია:

ა) სამედიცინო ნარჩენები მოათავსოს სამედიცინო ნარჩენებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ურნაში, არ დაუშვას ურნის გარეთ მისი დაყრა და მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანება;

ბ) გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

2. შემსრულებელი ვალდებულია:

გამოძახების შემთხვევაში (**ქ.ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის N2. ბათუმის ცენტრალური პარკის ტერიტორია**) ამ მისამართზე მდებარე დამკვეთის ობიექტის ტერიტორიიდან სამედიცინო სპეცნარჩენების გატანა და მათი უტილიზაცია (გამოძახებიდან არანაკლებ 2 დღის განმავლობაში).

3. მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების წესი

1. მომსახურების ღირებულება გამოძახების შემთხვევაში განისაზღვრება ფიქსირებული 50 (ორმოცდაათი) ლარით.

2. მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **450,00 (ოთხასორმოცდაათი) ლარს** მისი დაფინანსების წყაროა არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრები.

3. ანგარიშსწორება განხორციელდება გადარიცხვის ფორმით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მომსახურების შემდეგ მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომლეშიც აისახება გაწეული მომსახურების მოცულობა და ღირებულება.

4. მიღება-ჩაბარება და ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ა(ა)იპ – „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს ზოოლოგიური განყოფილების უფროსი (ან/და მოვალეობის შემსრულებლის) ან/და დირექტორის (ან/და მოვალეობის შემსრულებლის) ბრძანებით განსაზღვრული მოვალეობის შემსრულებელი პირი.

2. შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს მომსახურების ინსპექტირება;

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებენ ა(ა)იპ – „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს ზოოლოგიური განყოფილების უფროსი (ან/და მოვალეობის შემსრულებლის) ან/და დირექტორის (ან/და მოვალეობის შემსრულებლის) ბრძანებით განსაზღვრული მოვალეობის

შემსრულებელი პირი ან\და ამ საქმიანობისათვის საჭირო მოწვეული სპეციალისტი (სპეციალისტთა ჯგუფი).

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5 .პასუხისმგებლობა

1 მომსახურების საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს დამკვეთს დააკისროს პირგასამტეხლოს სახით პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.2 (ნული მთელი ორი მეათედი) %-ის ოდენობით.

2. თუ დამკვეთი 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში არ გადაიხდის წინა საანგარიშსწორებო თვის დავალიანებას შემსრულებელი უფლებამოსილია ცალხმრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

3. ხელშეკრულების მოშლა არ ათავისუფლებს დამკვეთს ხელშეკრულების ღირებულების და პირგასამტეხლოს გადახდისაგან.

4. დამკვეთი ვალდებულია სულ ცოტა 10 (ათი) დღით ადრე აცნობოს შემსრულებელს საქმიანობის შეჩერების, შეწყვეტის, სამუშაო გრაფიკის შეცვლის და ნებისმიერი სხვა ცვლილებების შესახებ რომელმაც შეიძლება აისახოს შემსრულებლის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევასი დამკვეთს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება წინა საანგარიშო თვის მომსახურების 10%-ის გადახდის ვალდებულება.

5. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს შემსრულებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;

6. დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2023 წლის 20 თებერვლამდე, თუ აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ მხარეები არ გამოთქვამენ წინამდებარე ხელშეკრულების გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის სურვილს ხელშეკრულება ყოველ ჯერზე გაგრძელდება იმავე ვადით და პირობებით;

2. მომსახურების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 01 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი;

3. მხარეთა შორის დავა წყდება ურთიერთ შეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო;

4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს ერთნაირი ძალა აქვს.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი: ა(ა)იპ-ბათუმის ბოტანიკური ბაღი საიდენტიფიკაციო კოდი: 245615963 მისამართი: ბათუმი, დასახლება მწვანე კონცხი. ტელეფონი: (0422) 27 00 33 info@bbg.ge სახელმწიფო ხაზინა; შემოსავლის სახაზინო კოდი: TRESGE22 ა/ა 740717520	შემსრულებელი: შპს „სანდასუფთავება" საიდენტიფიკაციო კოდი: 245548153 იურიდიული მისამართი – ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 55 ფაქტიური მისამართი – ქ. ბათუმი, ადლიის ქ. №167 ტელეფონის ნომერი – 29-40-62 sandasuptaveba@hotmail.com ბანკი – სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი – **BAGEGE22** ა./ნ. – **GE57BG0000000524452400**
დირექტორი: ირაკლი არჩაია	დირექტორი: სულხან ევგენიძე

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ-„ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სარისკო სახიფათო ნარჩანების გატანა და შემდგომში თერმული დამუშავების საამქროში/ინსინერატორში/უტილიზაცია, შესყიდვის საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დირექტორი ირაკლი არჩაია

ზოოლოგიური განყოფილების უფროსი გიორგი კალანდაძე

batumi botanical garden

Digitally signed by batumi botanical garden
Date: 2022.06.29 16:36:02 +04'00'